XIX საერთაშორისო კინოფესტივალი „რუსული საზღვარგარეთი“ 7 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 02.10.2025. 2025 წლის 7-4 ნოემბერს ალექსანდრე სოლჟენიცინის სახ. რუსული საზღვარგარეთის სახლში (მოსკოვი) და ონლაინ რეჟიმის ფორმატში XIX საერთაშორისო კინოფესტივალი „რუსული საზღვარგარეთი“ გაიმართება. ეს უნიკალური კულტურულ-საგანმანათლებლო ფორუმი იკვლევს მეოცე საუკუნის რუსული ემიგრაციის ფენომენს და რუსული საზღვარგარეთის სულიერ, კულტურულ და სამეცნიერო მემკვიდრეობას.

დატვირთულ პროგრამაში წარმოდგენილია ორმოცდაათზე მეტი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი ათი ქვეყნიდან, ეს ქვეყნებია: ალბანეთი, ბელარუსი, ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, კანადა, რუსეთი, სერბეთი, უზბეკეთი და საფრანგეთი.

რამდენიმე ჩვენება დაემთხვევა მეცნიერების, კულტურისა და მართლმადიდებელი ეკლესიის

მოღვაწეების იუბილეებს, რომელთა ცხოვრება მჭიდრო კავშირშია რუსულ დიასპორასთან. არასაკონკურსო პროგრამაში წარმოდგენილი იქნება ფილმები, რომლებიც ეძღვნება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, წმინდა მღვდელთმთავარ ტიხონის დაბადების 160 წლისთავს და გარდაცვალების 100 წლისთავს; მხატვრის, მსტისლავ დობუჟინსკის 150 წლის იუბილეს; ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის, ვასილი ლეონტიევის 120 წლის იუბილეს; პოეტ ნაუმ კორჟავინის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს და პოეტ იოსებ ბროდსკის დაბადებიდან 85 წლის იუბილეს.

დაგეგმილია სპეციალური კინოპროგრამები, რომლებიც დიდ სამამულო ომში რუსი ხალხის გამარჯვების 80 წლის იუბილეს და სპეციალური სამხედრო ოპერაციის წარმოებას მიეძღვნება. სრულიად რუსეთის ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციის «Движение Первых» წევრები პროექტის «Выбор Первых» ფარგლებში ამ სპეციალური პროგრამების შედეგების საფუძველზე შეარჩევენ საკუთარ გამარჯვებულს.

წლევანდელი კინოფორუმის ჟიურის შემადგენლობაში შედიან: მხატვრული ფილმების კონკურსში – თეატრისა და კინოს მსახიობი და პედაგოგი ტატიანა ოლხოვიჩ გრინ ფილონოვა (მექსიკა); კასტინგ-დირექტორი ვალენტინა კატინა-ჩისტოვა (ლუქსემბურგი); ჟიურის თავმჯდომარე –თეატრისა და კინოს მსახიობი, რუსეთის დამსახურებული არტისტი იური ბელიაევი; დოკუმენტური ფილმების კონკურსში მონაწილეობენ –კინორეჟისორი, არგენტინაში რუსი თანამემამულეების ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე სილვანა იარმოლიუკი (არგენტინა); კინორეჟისორი და სცენარისტი დენის ჩუვაევი; ჟიურის თავმჯდომარე – კინორეჟისორი, სცენარისტი, პედაგოგი, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიას რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მოღვაწე ვადიმ ცალიკოვი.

ფესტივალის ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ დიდგვაროვანთა კავშირის წინამძღოლი გრაფი სერგეი კაპნისტი (საფრანგეთი); ფილოლოგი, მთარგმნელი, რუსეთის საზღვარგარეთის ისტორიის სპეციალისტი მარინა სიგირჯი (თურქეთი). გაიმართება შემოქმედებითი საღამოები მსახიობ ტატიანა ოლხოვიჩ ფილონოვა გრინის (მექსიკა), ქასთინგ-დირექტორ ვალენტინა კატინა-ჩისტოვას (ლუქსემბურგი), რეჟისორ ალექსანდრე კარპოვის (ბელორუსია), პოეტ დიმიტრი კუზნეცოვის (რუსეთი) და რეჟისორ კონსტანტინ ლოპუშანსკის (რუსეთი).

კინოფორუმის ფარგლებში გაიცემა მიხეილ ჩეხოვის სახელობის სამი მედალი. ჯილდო გადაეცემა სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ კულტურის მოღვაწეებს კინომატოგრაფიასა და თეატრულ ხელოვნებაში გამორჩეული მიღწევებისთვის. წინა წლებში დაჯილდოებულთა შორის არიან ჩეხოვის მოწაფე, მსახიობი ჯოანა მერლინი (აშშ), მსახიობები სერგეი იურსკი, ვლადიმერ ეტუში, იური სოლომინი, ნიკოლოზ კარაჩენცოვი ალექსანდრე ზბრუევი. მსახიობი ქალები მარინა ვლადი (საფრანგეთი) და ჰელენ მირენი (დიდი ბრიტანეთი), კინოდრამატურგი ტონინო გუერა (იტალია), კომპოზიტორები ალექსანდრე ზაცეპინი, გორან ბრეგოვიჩი (სერბეთი) და სხვები. ამ ჯილდოს ახალი მფლობელების სახელები ტრადიციულად საიდუმლოდ ინახება დაჯილდოების ცერემონიამდე.

საერთაშორისო კინოფესტივალი „რუსული საზღვარგარეთი“ დაფუძნდა 2007 წელს ალექსანდრე სოლჟენიცინის სახელობის რუსეთის საზღვარგარეთის სახლისა და კინოსტუდია «Русский путь»-ის მიერ და ტარდება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოსკოვის მთავრობის, „როსსოტრუდნიჩესტვოს“, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების, მოსკოვის საქალაქო დუმის და

რუსეთის საზღვარგარეთის მემკვიდრეობის ფონდი.

კინოფორუმის გამართვის ადგილი: ადგილმდებარეობა: ალექსანდრე სოლჟენიცინის სახელობის რუსეთის საზღვარგარეთის სახლი. მისამართი: მოსკოვი, ნიჟნიაია რადიშჩევსკაიას ქ., მე-2 კორპუსი. გასასცლელი: მეტროსადგური ტაგანსკაია-წრიული გზა.

8-დან 14 ნოემბრის ჩათვლით ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია.

პროგრამაში შემავალი ზოგიერთი ფილმი ნაჩვენები იქნება **ფესტივალის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გრაფიკის მიხედვით.**

კინოფესტივალის ოფიციალურ ინტერნეტ-რესურსებზე გათვალისწნებულია საზეიმო ცერემონიებისა და შემოქმედებითი საღამოების ონლაინ ტრანსლაციები.

ოფიციალური საიტი: http://www.cinema-rp.com/

მხარდამჭერი ინერნეტ-საიტები:

- **https://t.me/cinema_rp**
- **https://vk.com/cinemarp**
- **https://ok.ru/group/70000001641759**

საერთაშორისო კინოფესტივალის, „რუსული საზღვარგარეთი“, გახსნის ცერემონია გაიმართება 2025 წლის 7 ნოემბერს, 19 საათზე, რუსეთის საზღვარგარეთის სახლში. დასრულდება ის რეჟისორ ეკატერინა ორლოვსკაიას დოკუმენტური ფილმის „შენთვის სიცოცხლეს დავდებდი“ ჩვენებით.

ცერემონიამდე, 17:00 საათზე, გაიმართება პრესკონფერენცია.

*მედიის წარმომადგენლების დასწრება პრესკონფერენციასა და გახსნის საზეიმო ცერემონიაზე მხოლოდ აკრედიტაციით. აკრედიტაციის განაცხადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: **fest.cinema-rp@mail.ru** ან ტელეფონით: **+7-963-712-35-68 (Telegram, WhatsApp, Viber).***

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93722/